სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

19 / სექტემბერი / 2024 წ.

KARR0178619907224

№ **01/1431**

სსიპ სახელმწიფო
ქონების ეროვნული
სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის
სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 3 სექტემბრის № 6/50483 მომართვა (რეგისტრირებული განცხადების ნომერი: 1378/21; თარიღი: 03.09.24), რომელიც ეხება ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 132.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 26.28.13.378) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილებით დამტკიცებული გეგმების შესაბამისად დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საპროექტო საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ში, ასევე მცირე ნაწილი დატვირთულია სერვიტუტით (იხ. დანართი).

საკურორტო ზონა 2 (შზ-7) წარმოადგენს ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში კურორტისათვის დამახასიათებელ განაშენიანებას. დასაშვები სახეობებია: სასტუმრო, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი, დასასვენებელი სახლები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტები, კვების ობიექტები, გართობისათვის განკუთვნილი მომსახურებების ობიექტები, მცირე კომერციული-სავაჭრო მომსახურებების ობიექტები, ავტოსადგომი, დასაშვები სახეობებისათვის დამხმარე და დროებითი შენობა-ნაგებობები. განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები 1000 კვ.მ-დან მიწის ნაკვეთებისთვის: განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.3; განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-1.5; გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.5.

საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ში მდებარე 1000 კვ.მ. ფართობზე ნაკლები და 200 კვ.მ. ფართობზე მეტი მიწის ნაკვეთის განვითარება დასაშვებია საკურორტო ზონა 1 (შზ-6)-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

№ 26.28.13.378 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ფართობიდან გამომდინარე (132.00 კვ.მ.) დამოუკიდებლად ვერ განხორციელდება. მიწის ნაკვეთის განვითარება ზონით დადგენილი პარამეტრებით, შესაძლებელი იქნება მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შემთხვევაში.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
ელექტრონულად